

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

---

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის ([www.moecs.ge](http://www.moecs.ge)) საინფორმაციო  
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი  
მონიტორინგი

2012 წლის 10 იანვარი

---

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

[www.idfi.ge](http://www.idfi.ge) / [www.opendata.ge](http://www.opendata.ge)


[info@idfi.ge](mailto:info@idfi.ge)




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტრო

[www.moecs.ge](http://www.moecs.ge)

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

### ➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. სამინისტროს დებულების თანახმად, მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

აგრეთვე, არ მოიძიება მინისტრის შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

**მინისტრი**



**გიორგი აბულაძე**

**დაბადების თარიღი** 8 .04. 1976 წელი

**განათლება** უმაღლესი

1993-1998წ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის საპროტესტის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი ბიზნესის სამართალმცოდნეობის სპეციალობით, იურიდიულ-ეკონომიკის კვალიფიკაცია.

2001-2002წ - ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის გადამზადების სრული კურსი, საფინანსო საბანკო სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობით.

**ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდები**

2005 წელი - საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2006 წელი - პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა

2006 წელი - ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და

ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. სამინისტროს დებულების თანახმად, მინისტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების ფაქსის ნომრები:

**ლამზირა ბოლქვაძე**

**პერსონალური ინფორმაცია**

ტელეფონი: 24-53-73

ელ-ფოსტა: l.bolkvadze@moecs.ge

დაბადების თარიღი: 22/05/1971

---

**განათლება:**

1995 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპეციალობით - სამართალმცოდნეობა

**აიდა აბუსერიძე**

**პერსონალური ინფორმაცია**

ტელეფონი: 24-53-80

ელ-ფოსტა: aida-abuseridze@moecs.ge

დაბადების თარიღი: 28/05/1967

---

**განათლება:**

1987/1992 - სასწავლებლის დასახელება ქ.მათუშის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ფალულტეტი/სპეციალობა რუსული ენა და ლიტერატურა

1982/1986 - სასწავლებლის დასახელება ქ.მათუშის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი

ფაკულტეტი - თეორიული ფაკულტეტი; სპეციალობა - მუსიკის თეორია და ლიტერატურა

ამასთან, სამინისტროს დებულების თანახმად მინისტრს ჰყავს ოთხი მოადგილე, ხოლო, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მინისტრის მოადგილეები“ მოცემულია მხოლოდ ორი მოადგილის შესახებ ინფორმაცია;

სასურველია, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრის მოადგილის პოზიცია ვაკანტურია, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „მინისტრის მოადგილე“ დაემატოს შემდეგი სახის ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან მისთ.


ამასთან, სასურველია, ფოტოსურათები მოცემული იყოს აგრეთვე ბიოგრაფიების მომცველ ბმულზე გადასვლისას წარმოდგენილ გვერდზე:

### მინისტრის მოადგილეები



ლამზირა ბოლოქვაძე

მინისტრის პირველი მოადგილე



აიდა აბუსერიმე

მინისტრის მოადგილე

**ლამზირა ბოლქვაძე**

**პერსონალური ინფორმაცია**

ტელეფონი: 24-53-73

ელ-ფოსტა: l.bolkvadze@moecs.ge

დაბადების თარიღი: 22/05/1971

---

**განათლება:**

1995 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპეციალობით - სამართალმცოდნეობა

---

**სამუშაო გამოცდილება:**


08.2010/დღემდე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილე

07.2010/08.2010 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

ამასთან, მინისტრის მოადგილეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია აგრეთვე ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“:

თუმცა, მოცემულ სტრუქტურაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი ბლოკი მოადგილის შესახებ ცარიელია, და იუწყება, რომ არ მოიპოვება არც ერთი ჩანაწერი; სასურველია, აგრეთვე, მოცემულ სტრუქტურაზეც იყოს წარმოდგენილი მოადგილეების ფოტოსურათები:

## სტრუქტურა



არ მოიპოვება არცერთი ჩანაწერი

სასურველია, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრის მოადგილის პოზიცია ვაკანტურია, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „მინისტრის მოადგილე“ დამატოს შემდეგი სახის ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან მისთ.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სამინისტროს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

## საკონტაქტო გვერდი

მისამართი: ლადო გუდიაშვილის N4, ბათუმი, 6000, საქართველო

ტელ: +(995)422 24-78-74 ფაქსი: +(995)422 24-78-74

ელ-ფოსტა: [administracia@moecs.ge](mailto:administracia@moecs.ge); [admin@moecs.ge](mailto:admin@moecs.ge)

facebook: [Moecs Ajara](https://www.facebook.com/MoecsAjara)

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები. ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასახელება:



6. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსებოდა სამინისტროს სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული მისი დეტალური საქმიანობის ისტორია.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის სფეროს, ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

### ➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფაქსის ნომრები; ხოლო, არასრულად არის წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია მხოლოდ შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები:

❖ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი:

**სახელი / გვარი:** მაია ხაჯიშვილი  
**საკონტაქტო ინფორმაცია**  
 ტელეფონი: 4-78-67, 2-33-07  
 ელ-ფოსტა: maia.khajishvili@gmail.com



**დაბადების თარიღი:** 30.12.1979წ.

**განათლება:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობა 1999-2004წწ.  
 კვალიფიკაცია - იურისტი  
 აკადემიური ხარისხი - მაგისტრი

❖ შიდა აუდიტის დეპარტამენტი:

**სახელი / გვარი:** მადონა ტაბატაძე-დვალისვილი  
**საკონტაქტო ინფორმაცია**  
 ტელეფონი: 4-78-73  
 ელ-ფოსტა: madonatabatadze@yahoo.com  
**დაბადების თარიღი:** 27.01.1963წ.



**განათლება:**  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი

**სამუშაო გამოცდილება:**  
 1990 - 2000წწ. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურის საშუალო სკოლის პედაგოგად;  
 2000 - 2006 წწ. აჭარის განათლების მინისტრის თანამშემედ;  
 2006-2010 წწ. ხელვაჩაურის რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე;  
 2010 წლის იანვრიდან 2010 წლის ივლისამდე-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე;

❖ ფინანსური დაგეგმვის განყოფილება:

**სახელი / გვარი:** მზია რუხაძე  
**საკონტაქტო ინფორმაცია**  
ტელეფონი: 877 90 40 01  
ელ-ფოსტა: mziarukhadze@gmail.com



**დაბადების თარიღი:** \_1963 15 ნოემბერი

**განათლება:** უმაღლესი  
**სტატუსი:** ეკონომისტი  
გორის ეკონომიკური უნივერსიტეტი  
სბულატრო აღრიცხვა და სანეურნეო საქმიანობის ანალიზი.

**სამუშაო გამოცდილება:**

1982-1989 წლებში - ბათუმის სურსათეაჭრობის ადმინისტრაცია - მთავარი სპეციალისტი  
1989-2004 წლებში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს  
საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების - მთავარი სპეციალისტი.

❖ **ბულატროული აღრიცხვის დეპარტამენტი:**

**სახელი / გვარი:** თენგიზ ზაქარაძე  
**საკონტაქტო ინფორმაცია**  
ტელეფონი: 877 40 20 04  
ელ-ფოსტა: bugalteria@moecs.ge  
**დაბადების თარიღი:** 17/06/1984/



**განათლება:**  
**სტატუსი:**  
01/09/2001/ - 01/07/2005/ - სასწავლებლის დასახელება  
ფაულტეტი / სპეციალობა

**ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის ფაკულტეტი**  
**აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობა**

**სამუშაო გამოცდილება:**

17/04/2007/ - 15/10/2007/ - ორგანიზაციის დასახელება: შპს "გზა"  
თანამდებობა: შპს პროდუქციის რეაორგანიზატორი  
15/10/2007/ - 28/12/2008/ - ორგანიზაციის დასახელება: ს.ს. "საქართველოს ბანკი"  
თანამდებობა: მიკროდაკრედიტების დეპარტამენტის საკრედიტო ექსპერტი

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

მოცემულ სტრუქტურაზე მიმოვანტულად არის წარმოდგენილი სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია, სასურველია სრული სახით მოიძიებოდეს საშტატო ნუსხის შესაბამისად დადგინდეს უკლებლივ ყველა თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია (სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები):

---

**თამარ სირია**

ტელ: 24-53-76

ელ-ფოსტა: [iuridiuli@moecs.ge](mailto:iuridiuli@moecs.ge)

---

**ნათია დოჭვირი**

ტელ: 24-53-76

ელ-ფოსტა: [iuridiuli@moecs.ge](mailto:iuridiuli@moecs.ge)

---

**ნელი გოგოტიშვილი**

ტელ: 24-53-76

ელ-ფოსტა: [iuridiuli@moecs.ge](mailto:iuridiuli@moecs.ge)

**მერი ინაიშვილი**

ტელ: 24-53-75

ელ-ფოსტა:

---

**ინგა დავითაძე**

ტელ: 24-53-75

ელ-ფოსტა:

**ლია გოგიტიძე**

ტელ: 24-53-78

ელ-ფოსტა: ganatleba.batumi@gmail.com

---

**რომა დოლაბერიძე**

ტელ: 24-53-78

ელ-ფოსტა: admin@moecs.ge

---

**ნანა შავაძე**

TFS პროგრამის კოორდინატორი

მობ: 577 17 34 34

ტელ: 24-53-78

ელ-ფოსტა: ganatleba.teach@gmail.com

**ნათია ფეხლიშვილი**

ბელ:

ელ-ფოსტა:

---

**ჯეთო ვარშანიძე**

ბელ:

ელ-ფოსტა:

---

**ნოდარი გვიანიძე**

ბელ:

ელ-ფოსტა:

---

**ისმაილ შრაბიძე**

ბელ:

ელ-ფოსტა:

---

**რამაზ მახარაძე**

---

**მანანა სეფერთელაძე**

---

**ნანა ვარშანიძე**

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს - ცენტრების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „განათლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „რესურსცენტრები“ მოცემულია რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:

**რესურსცენტრები**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები**

**ბათუმის რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: მერაბ საწმიტე; მისამართი: ნიკო ფიროსმანის №1; საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ – (422)272378; ელ–ფოსტა: [batumirc@moecs.ge](mailto:batumirc@moecs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 18; კერძო სკოლების რაოდენობა 19; პროფესიული სასწავლებლები 11 ; საჯარო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 2; კერძო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 9

მოსწავლეთა რაოდენობა: 22917 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 41; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 74); მასწავლებელთა რაოდენობა: 2134; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა: 73. [სკოლების მისამართები](#)

**ქობულეთის რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: მადონა გოგიტიძე; მისამართი: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის №99; ტელ – (426)266107; (426)268107; ელ–ფოსტა: [kobulatirc@moecs.ge](mailto:kobulatirc@moecs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 48; კერძო სკოლების რაოდენობა 5; პროფესიული სასწავლებლები 2 ; საჯარო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 1; კერძო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 1

მოსწავლეთა რაოდენობა: 12860 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 10; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 37); მასწავლებელთა რაოდენობა: 1479; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა: 26. [სკოლების მისამართები](#)

**ხელვაჩაურის რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: ირაკლი ჯაფარიძე; მისამართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის №21; ტელ – (427)259112 ელ–ფოსტა: [khelvachaurirc@moecs.ge](mailto:khelvachaurirc@moecs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 46; კერძო სკოლების რაოდენობა 2; პროფესიული სასწავლებლები 1; კერძო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 1

მოსწავლეთა რაოდენობა: 12979 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 24; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 50); მასწავლებელთა რაოდენობა: 1563; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა: 13. [სკოლების მისამართები](#)

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არასრული სახით არის წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ფაქსის ნომრები, კერძოდ, მოცემულია მხოლოდ შემდეგი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ფაქსის ნომრები:

- ❖ ქედის რესურს-ცენტრი;
- ❖ ხულოს რესურს-ცენტრი;

**ქედის რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: დურმიშან შავიშვილი; მისამართი: ქედის მუნიციპალიტეტი, მერაბ კოსტავას №1; ტელ - (425)250080; (425)250081; **ფაქსი: (425)250081**; ელ-ფოსტა: [kedarc@moacs.ge](mailto:kedarc@moacs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 29;

მოსწავლეთა რაოდენობა: 2909 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 9; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 9); მასწავლებელთა რაოდენობა: 654; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა: 1. [სკოლების მისამართები](#)

**შუაშვილის რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: ზაურ დავითაძე; მისამართი: შუაშვილის მუნიციპალიტეტი, შოთა რუსთაველის №21; ტელ - (424)260147; (+99590)256400; ელ-ფოსტა: [shualkhevir@moacs.ge](mailto:shualkhevir@moacs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 43; კერძო სკოლების რაოდენობა 1;

მოსწავლეთა რაოდენობა: 3417 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 8; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 12); მასწავლებელთა რაოდენობა: 929; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა: 1. [სკოლების მისამართები](#)

**ხულოს რესურსცენტრი** - ცენტრის უფროსი: ოთარ შინიძე; მისამართი: ხულოს მუნიციპალიტეტი, ტბელ აბუსერიძის №5; ტელ:(423)270044; (423)270057; (423)270077; **ფაქსი: (423)270044**; ელ-ფოსტა: [khulorc@moacs.ge](mailto:khulorc@moacs.ge)

სასწავლო დაწესებულებები: საჯარო სკოლების რაოდენობა 49; კერძო სკოლების რაოდენობა 1;

მოსწავლეთა რაოდენობა: 5463 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 13; ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა 11); მასწავლებელთა რაოდენობა: 1051. [სკოლების მისამართები](#)

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების შესახებ

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა (არ არსებობს ვაკანსიების შესაბამისი (ქვე-)განყოფილება და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2011 წლის წლიური და კვარტალური ანგარიშები, პროექტები და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება (ბანერი) სათაურად „სტატისტიკა“ არ მუშაობს:



- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს ანგარიში“ სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2011 წლის წლიური და კვარტალური ანგარიშები:

**სამინისტროს ანგარიში**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ [2010 წელში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში](#)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ [2009 წელში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში](#)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ [2008 წელში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში](#)

2005-2008	წლებში	სამინისტროს	მიერ	მიზნობრივი	პროგრამების	ფარგლებში
განხორციელებული საქმიანობის ანგარიში						

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს სამინისტრო.

13. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ქვე-განყოფილებებში განთავსებული სამართლებრივი აქტების უმეტესობა მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი - დებულება.

სასურველია არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებები; აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სამართლებრივი აქტები, მათ შორის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რესურსცენტრების სტრუქტურის განმსაზღვრელი ბრძანება, მინისტრის მიერ დამტკიცებული ტერიტორიული ორგანოების დებულებები, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი; სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს იურიდიული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

- საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“:
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.


16. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

[http://www.opendata.ge/pdf\\_files/a\\_acharaganatleba\\_sajaroinfo.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/a_acharaganatleba_sajaroinfo.pdf)).

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

18. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სახელმწიფო შესყიდვები“ წარმოდგენილია მხოლოდ ტენდერების ჩატარების შესახებ განცხადებები:



- სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის*

სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

[http://www.opendata.ge/pdf\\_files/acharaganatleba\\_shesyidvebi.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/acharaganatleba_shesyidvebi.pdf)).

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**


20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასაღების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

[http://www.opendata.ge/pdf\\_files/acharaganatleba\\_budget.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/acharaganatleba_budget.pdf));


- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: [http://www.opendata.ge/pdf\\_files/acharaganatleba\\_xelfasi.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/acharaganatleba_xelfasi.pdf));*
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება სამინისტროსათვის პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




## ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



## ➤ მიება

მიების მოდული ფუნქციონირებს, თუმცა მას გამოაქვს კატეგორიების დასახელებები, სადაც ჩვენი საკვანძო სიტყვა მოიძებნა:



სასურველია, კატეგორიების დასახელებების გარდა, მიების მოდულმა გამოიტანოს ინფორმაციის ის მონაკვეთი, სადაც მოხვდა ჩვენი საკვანძო სიტყვის დამთხვევა;

ვებ-გვერდის კალენდარი, რომლითაც ხდება სიახლეების მოძიება თარიღის მიხედვით არ ფუნქციონირებს სწორად. კალენდარზე არსებობს ისეთი თარიღები, რომლებიც ბმულად ჩანს, თუმცა ბმულზე გადასვლის შემდგომ გამოდის ცარიელი გვერდი:

2012 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამები  
2012 წლის მასწავლებლების სასურტიფიკაციო გამოცდების პროგრამები

**საორთის სამინისტრო**  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ვიდეო არქივი  
ფოტო არქივი

**ინტერაქტიული**  
ზართ თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეგობარი facebook-ი

კი  
არა

სულ: 242 ხმა

2012 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამები

2012 წლის მასწავლებლების სასურტიფიკაციო გამოცდების პროგრამები

ჩივბ თარიღით

იანვარი 2012

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

SHARE

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ჩანს ქართული წარწერები:

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

Ministry Education Culture Sport Budget Legislation

News  
Contest  
State procurements

2011-2012 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების საგამოცდო პროგრამები  
2012 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამები  
2012 წლის მასწავლებლების სასურტიფიკაციო გამოცდების პროგრამები

Search By Date

January 2012

Mo	Tu	We	Th	Fr	Sa	Su
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

საბავშვო თეატრის საერთაშორისო ფესტივალი 15-18 ივნისი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

2012-01-09 18:35:58

სიახლე პროგრამაში „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“


2012 წლის 9 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ლაშოა შოლუაძე შეხვდა მინისტრის პროგრამის ფარგლებში „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ დასაშვებულ პედაგოგებს დაგი ეუმსარტბს და პროგრამაში შეტანილი ცვლილებები გასწავლოთ. იზრდამ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებს და პროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები სკოლის შრიდან გაეხული სააბორივი ანაზღაურების პარალელურად, სამინისტროს შრიდან აიღებ უფულოფურად 400 ლარს. პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს გადაეცემა განმარტოლომის დანაზვევის პაკეტი, საბელმშვეალოები და გაეილმ ქოლესილო გადაზადების კურსებს.

Video Archive  
Photo Archive

Interactive  
ზართ თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ფოტო-გალერეა სამწუხაროდ დარჩენილია ვებ-გვერდის გარემოს გარეშე, მათ შორის მენიუს გარეშე:



ვებ-გვერდის ყველა გვერდზე აუცილებლად უნდა იყოს ნავიგაციის პანელი (ვებ-გვერდის მენიუ);


ვებ-გვერდის ვიდეო-გალერეა არ მუშაობს:



ბანერზე დაჭერით გვერდი არ იცვლება;

➤ **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**


ვებ-გვერდის GET ცვლადები არ იფილტრება. თუ მომხმარებელმა ხელოვნურად შეცვალა გადაცემული ცვლადის მნიშვნელობა ვებ-გვერდის ნაწილი აღარ იტვირთება. მაგ:



გადაცემული ცვლადების აუცილებლად უნდა გაიფილტროს, რათა არ მოხდეს შეცდომები;

➤ **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის მართვის პანელი საკმაოდ ადვილი მისაგნებია:




საჭიროა მისი უკეთესად დამალვა;

➤ **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე, სიახლეების მოდულში სურათები დაპატარავებულია CSS/HTML-ის (პროგრამული კოდის) მეშვეობით, რის გამოც სიახლეები იტვირთება ნელა.

21	22	მასწავლებ
28	29	ანაზღაურების მარალელურად, სამინისტროს მხრიდან ჩართულ პედაგოგებს გადაეცემათ ჯანმრთელობის დაზღვევის პროფესიული გადაზღვრების კურსებს.
		პროგრამის სიახლეა ასევე, ვაკანტურ ადგილებზე წარსულში მსწავლეების ჩართვა.
		 <p>07-01-2012  <b>ბათუმის სავანეს მობინადრობის მიულოცეს</b>          2012 წლის 7 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის მინისტრის ინიციატივით ბათუმის სავანეს მობინადრობის მიულოცეს.</p>
		 <p>30-12-2011  <b>გილოცავთ შობა-ახალ წელს</b>          აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სამინისტრო გილოცავთ შობა-ახალ წელს.</p>
		 <p>27-12-2011  <b>აჭარის ნაკრებმა ბერძნულ პირველი ადგილი დაიკავა</b>          2011 წლის 27 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სამინისტროში გაიმართდა აჭარის ნაკრებმა ბერძნულ პირველი ადგილი დაიკავა.</p>
		2011-2012

ეს სურათები სინამდვილეში საკმაოდ დიდია ზომაში. მაგ:



### ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ზოგადად ვებ-გვერდი დასამუშავებელია და დასახვეწია. გასათვალისწინებელია ისეთი დეტალები, როგორც არის მარტივად აღქმის კრიტერიუმები, უსაფრთხოების სტანდარტები და სხვა. ასევე ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა დაემატოს ონლაინ სერვისები, რომლებიც მომხმარებლებს მისცემს მეტი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობებს.